



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№17

2017 წლის 9 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის და აპარატის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 48-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-9 და მე-11 მუხლების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

მუხლი 1. ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების მიზნით შეიქმნას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისია და აპარატი შემდეგი შემადგენლით:

გიორგი ბოკერია - გამგებლის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე;

გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;

გიორგი მჭედლიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ვალერიან კვიუინაძე - შესყიდვების განყოფილების უფროსი.

**აპარატის წევრები:**

მანანა კურტანიძე - მთ.სპეციალისტი „შესყიდვების საკითხებში“;

ელისო ბოჭაძე - მთ.სპეციალისტი „შესყიდვების საკითხებში“.

მუხლი 2. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 ივლისის N851 ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის და აპარატის შექმნის შესახებ“.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემთვევამისართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებლის მ/შემსრულებელი:



გიორგი ბოკერია